ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №30

24 მაისი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031914291-03; 22.05.2019);

2. „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03191439-03; 23.06.2019);

3. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031912040-03; 10.05.2019);

4. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო

პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03191016-03; 11.04.2019);

5. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031910918-03;19.04.2019);

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031914063-03, 20.05.2019).

7. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319052158-03; 21.02.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
- **ნინო კვეტენაძე** - სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო“.
- **მამუკა მუმლაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი.
- **მერაბ მამულაშვილი** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
- **ვასილ აბულაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - წარმოდგენილი პროექტით ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა ზრდა და ბიუჯეტი განისაზღვრება 1 075 101,8 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტს ემატება ახალი ქვეპროგრამა **საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 8 389,2 ათასი ლარის** ოდენობით, აღნიშნული თანხა მეტროს ვაგონების მოდერნიზებას მოხმარდება.

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 12 000,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 075 101,8 ათასი ლარით, რაც ხორციელდება სესხის სახით მოზიდული სახსრების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვით, რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიღებული აქვს თანხმობები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N101 და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის N1074 განკარგულებებით.

ასევე, წარმოდგენილი ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში ღონისძიებების ღირებულების დაზუსტებით გამონთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით სულ გადანაწილდა 28 046,5 ათასი ლარი სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) - 3 500,0 ათასი ლარით;
- გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში - 825,4 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) - 7 000,0 ათასი ლარი;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 470,0 ათასი ლარით;
- გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) - 3 367,8 ათასი ლარით;
- თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) - 600,0 ათასი ლარით;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) - 150,0 ათასი ლარით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04 01) - 210,0 ათასი ლარით;
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) - 189,0 ათასი ლარით;
- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 1 087,2 ათასი ლარით;
- თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (კოდი 08 01 03) - 300,0 ათასი ლარით;
- ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი 08 04 03) - 50,0 ათასი ლარით;
- სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) - 78,9 ათასი ლარით;
- ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) - 490,0 ათასი ლარით
- ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 01) - 118,0 ათასი ლარით;
- სარეზერვო ფონდი (კოდი 10 26) - 500,0 ათასი ლარით;

გარდა ამისა, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 8 389,2 ათასი ლარის ოდენობით მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისთვის.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) 370,0 ათასი ლარით;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 218,0 ათასი ლარით;

- სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტების ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 02) - 21,0 ათასი ლარით;
- ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი 02 07) - 126,4 ათასი ლარით;
- უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი 02 09 09) - 37,6 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 189,0 ათასი ლარით;
- კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 375,4 ათასი ლარით;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი 06 01 01) - 22,9 ათასი ლარით;
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 8 286,0 ათასი ლარით;
- საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 45,3 ათასი ლარით;
- თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 03 01) - 1 087,2 ათასი ლარით;
- მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) - 20,0 ათასი ლარით;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) - 2 500,0 ათასი ლარით;
- მერიის ადმინისტრაციის ასიგნებები (კოდი 10 02) - 26,7 ათასი ლარით;
- ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) (კოდი 10 42) - 2 000,0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 012 951,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 62 150,3 ათასი ლარით.

თ.ისაკაძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისია დადებითად აფასებს ცვლილებებს, ვინაიდან წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე ბიუჯეტს ემატება ახალი ქვეპროგრამა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია, რომლის ფარგლებშიც მოხდება მეტროს ვაგონების მოდერნიზაცია, და შესაბამისად მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-

031914291-03; 22.05.2019) გავიდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03191439-03; 23.06.2019);**

ნ.კვეტენაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის N46 განკარგულებაში და დანართი N2 ყალიბდება დოკუმენტზე თანდართული რედაქციით. უფრო კონკრეტულად, დანართი 2-ში მოცემული 30 ლოკაციიდან იცვლება 15 ლოკაცია და ყალიბდება ახალი რედაქციით.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ,,ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ (EBRD) თანადაფინანსებით ფრანგული საკონსულტაციო კომპანია ,,Systra“ 2018 წლის მარტიდან ახორციელებს პროექტს - „თბილისის საავტობუსე ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატური გადახდის სისტემის დანერგვა“. პროექტის მიზანია, მთელი ქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელის ოპტიმიზების შედეგად მომსახურებისა და საოპერაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება. კვლევის თანახმად, მარშრუტებისთვის მოეწყობა სპეციალური განცალკევებული ხაზები, ე.წ ,,BUS LINE“-ები, რაც უზრუნველყოფს მომსახურების სისწრაფეს და სანდოობას. ხოლო, შპს ,,ქართლიენერჯისთვის“ გამოყოფილი 30 ლოკაციიდან, სადაც უნდა განთავსდეს ელექტროავტომობილებისათვის დასატენი სადგურები, 15 ლოკაცია ხვდება სწორედ იმ არეალში სადაც იგეგმება ზემოთხსნებული ე.წ ,,BUS LINE“-ების გაყვანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ.

ასევე, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტოსა“ და აუქციონში გამარჯვებულ პირს შპს ,,ქართლიენერჯს“ შორის 2019 წლის 22 მარტს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მე-2 პუნქტის 2.1.10-ში, რომელიც ყალიბდება შემდეგი

რედაქციით: „2.1.10. საკუთარი ხარჯებით მოახდინოს საიჯარო ქონებაზე ცალკე აბონენტად რეგისტრაცია სარგებლობის უფლების მიმღების სახელზე და გადაიხადოს კომუნალური გადასახად(ებ)ი“.

მოქმედი ხელშეკრულების თანახმად, ცალკე აბონენტად რეგისტრაციისთვის განსაზღვრული იყო ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 თვიანი ვადა, თუმცა დასატენი სადგურების ლოკაციების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოიშვა მოცემულ ნორმაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ღირებულებაზე ნაკლები ოდენობის საწყისი სარგებლობის საფასურით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენების განთავსების მიზნით, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელექტრონული აუქციონის წესით გადაცემის საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის პირველი მარტის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03191439-03; 23.05.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031912040-03; 10.05.2019)**

მ.მუმლაძე - პროექტის საფუძველზე, N50, N55, N71 მარშრუტებზე იცვლება მოძრაობის სქემა და მოძრავი შემადგენლობები ევროპის მოედნიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე ნაცვლად რიყის, მარცხენა სანაპიროს და ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდისა, მოხვდებიან კოტე აფხაზის, თავისუფლების მოედნისა და ალექსანდრე პუშკინის ქუჩის გავლით. აღნიშნული მარშრუტები კოტე აფხაზის ქუჩაზე მოძრაობას განახორციელებენ „MAN-“ ის მარკის ახალი ავტობუსებით.

N85 მარშრუტზე განხორციელდა საწყისი პუნქტის ადგილმონაცვლეობა და ილია ჭავჭავაძის გამზირი N41-ის მიმდებარე ტერიტორიის ნაცვლად, საწყის პუნქტად განისაზღვრა მერაბ კოსტავას ქ. N68-ის მიმდებარედ.

თ.ისაკაძე - რამდენმეტრიანია აღნიშნული ავტობუსები.

მ.მუმლაძე - აღნიშნული ავტობუსები არის 10 მეტრიანი. უკვე მოწყობილია ავტობუსის გაჩერებები კოტე აფხაზის ქუჩაზე. ვინაიდან უახლოეს მომავალში უნდა ამოქმედდეს რეგულაციები ზონალური პარკირებასთან დაკავშირებით, ვალდებულები ვართ უზრუნველვყოთ თავისუფლების მოედნის მისაწვდომობა დედაქალაქის სხვა რაიონებთან, აღნიშნული ცვლილებებიც ამ მიზანს ემსახურება. გარდა ამისა თავისუფლების მოედანზე საქართველოს ბანკთან მოეწყობა ავტობუსის გაჩერება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი **(12-031913040-03; 10.05.2019)** გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03191016-03; 11.04.2019)**

ვ.აბულაძე - „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში საჭირო გახდა ცვლილებების განხორციელება, რომლის მიხედვით ნებართვის გამცემი 2019 წლის პირველი ივლისიდან ვალდებული გახდება ნებართვის მაძიებელს ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge მის პირად სივრცეში მისცეს უფლება მონიშნოს შესაბამისი ნებართვის კატეგორია, რომლითაც ნებართვის მფლობელი განახორციელებს მგზავრთა გადაყვანას 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან.

დადგენილების მე-5 მუხლს ემატება მე-6 პუნქტი, რომლის მიხედვით მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ნებართვის მფლობელი ვალდებული გახდება

2019 წლის პირველ ოქტომბრამდე, ელექტრონულ მისამართზე: www.taxi.tbilisi.gov.ge პირად მუნიციპალურ სივრცეში აირჩიოს (მონიშნოს) მისთვის სასურველი ნებართვის ის კატეგორია („A“ ან „B“), რომლითაც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან სურს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის განხორციელება. იმ შემთხვევაში, თუ ნებართვის მფლობელი დადგენილ ვადაში არ აირჩევს (მონიშნავს) მისთვის სასურველი ნებართვის კატეგორიას, ნებართვის გამცემი 2019 წლის პირველ ოქტომბერს, თუ ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება აკმაყოფილებს („A“ ან „B“) კატეგორიებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, მიანიჭებს ნებართვის „B“ კატეგორიას, ხოლო თუ ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება არ დააკმაყოფილებს არცერთი კატეგორიისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ნებართვის მფლობელს გაუუქმდება ნებართვა.

რაც შეეხება წესს, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი იყოფა ორ ნაწილად, ხოლო მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელშიც მითითებულია ნებართვის გაუქმების ვადის გასვლამდე ნებართვის გაუქმების საფუძვლები, ემატება „$დ^1$“, „$დ^2$“ და „$დ^3$“ ქვეპუნქტები: $დ^1$) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ცვლილებისას, როდესაც იცვლება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე; $დ^2$) ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვიდან მოხსნის შემთხვევაში; $დ^3$) თუ 2019 წლის პირველი ოქტომბრისათვის მოქმედ ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება არ აკმაყოფილებს „A“ ან „B“ კატეგორიებისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03191016-03; 11.04.2019) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე**

პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031910918-03;19.04.2019).

ვ.აბულაძე - მოგახსენებთ, რომ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებით ცვლილების შეტანის შემდეგ საჭირო გახდა წესის მე-4 დანართით გათვალისწინებულ ტაქსის აღმნიშვნელ მანათობელ ნიშანში შესაბამისი კორექტივების შეტანა და შემდეგი შინაარსის მე-3 მუხლის მე-6^4 პუნქტის ჩამოყალიბება, კერძოდ - „განაცხადის შევსებისას ნებართვის მაძიებელი შესაბამის ველში უთითებს კონკრეტულად რომელი კატეგორიის ნებართვა სურს გაიცეს მასზე. ერთი და იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე შესაძლებელია გაიცეს როგორც „A“ ისე „B“ კატეგორიის რამდენიმე ნებართვა, ხოლო იმავე სატრანსპორტო საშუალებაზე დაუშვებელია პირზე ორივე კატეგორიის ნებართვის გაცემა.“

ასევე, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ ემატება 2^1 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს მომსახურების გაწევისას ეკრძალება სატრანსპორტო საშუალებაზე ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალების განთავსება. ამავე დროს, 2021 წლის პირველ იანვრამდე გადავადდება ჩანაწერის მოქმედება, რომელიც უთითებს, რომ „B“ კატეგორიის ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში თუ მსუბუქ ავტომობილს-ტაქსს (M1 კატეგორია), რომლითაც ნებართვის მაძიებელს სურს განახორციელოს მგზავრთა გადაყვანა, საჭის მდებარეობა აქვს მარცხნივ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის

მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031910918-03;19.04.2019) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031914063-03, 20.05.2019).**

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-9 დადგენილების ამოქმედების შემდეგ (რომლის მე-2 მუხლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას დაევალა 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით რეგისტრირებული ნებართვების მფლობელების (რომელთა ნებართვებიც მოქმედი იქნება ვაუჩერების გაცემის დაწყების დღისთვის) სურვილის შემთხვევაში, მათთვის უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების ქიმწმენდისა და შეღებვის ვაუჩერების გაცემის ორგანიზება) გახშირდა მოქალაქეთა მომართვიანობა, რომლებიც ითხოვდნენ ვაუჩერების გაცემა მომხდარიყო იმ პირებზეც, რომელთაც ნებართვები აღებული ჰქონდათ 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით და სატრანსპორტო საშუალებების შეცვლის გამო მოუწიათ ახალი ნებართვების აღება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სრულიად გაიზიარა აღნიშნული მოთხოვნა და ასევე მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ დამატებით უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების ფერის ცვლილების (თეთრი ფერით) და ქიმწმენდის ვაუჩერების გაცემის ორგანიზება, თუ სურვილის შემთხვევაში:

- ნებართვის მფლობელს, რომელსაც ნებართვა აღებული ჰქონდა 2018 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით და განსაზღვრულ ვადაში არ მიუმართავს ვაუჩერ(ებ)ის გაცემის მოთხოვნით;

- ნებართვის მფლობელს, რომელსაც ნებართვა აღებული ჰქონდა 2018 წლის 11 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით და ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება გამოშვებულია 2004 წლიდან 2019 წლის ჩათვლით;

- ნებართვის მფლობელს, რომელსაც ნებართვა აღებული ჰქონდა 2018 წლის 11 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სატრანსპორტო საშუალების შეცვლის გამო მოუწია ახალი ნებართვის აღება და ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალება გამოშვებულია 2004 წლიდან 2019 წლის ჩათვლით.

თ.ისაკაძე - განსხვავდება თუ არა გადაღებვის და სტიკერის გადაკვირს ვაუჩერების ფასები.

ვ.აბულაძე - ჩვენი მხრიდან თანხა გაიცემა და გადაწყვეტილებას მანქანის მეპატრონე იღებს გადაღებვის ან სტიკერის გადაკვირს შესახებ.

ს.ბირკაძე - ვაუჩერის აღების ვადა 10 აგვისტომდეა, გადაღებვის ან სტიკერის გადაკვრის ვადა მძღოლებს აქვთ 1 ოქტომბრამდე, შესაბამისად მათ აქვთ ორთვიანი ვადა ფერის შეცვლაზე.

ვ.აბულაძე - ცვლილებების შედეგად მოხდება მიდგომის შემსუბუქება ტაქსების რეგულაციების მიმართ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №32-110 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის №37-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031914063-03, 20.05.2019) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. **„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319052158-03; 21.02.2019).**

ვ.აბულაძე - როგორც მოგეხსენებათ ზონალური პარკირების თემასთან დაკავშირებით გაიმართა არაერთი შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დარგის ექსპერტებთან, მათ მიერ დაფიქსირდა გარკვეული შემოთავაზებები.

თ.ისაკაძე - როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ასევე დარგის ექსპერტების მიერ ღიად დაფიქსირდა მოსაზრება, რომ სატრანსპორტო პოლიტიკა უნდა წარიმართოს ისე, რომ მოსახლეობამ პრიორიტეტი მიანიჭოს საზოგადოებრივ ტრანსპორტს და უარი თქვას კერძო ტრანსპორტზე. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ზონალური პარკირების საათობრივი მოდელის ტარიფი განისაზღვრა შემდეგნაირად: 1, 1.5 და 2 ლარი. ჩვენი მოსაზრებაა, რომ ტარიფი განისაზღვროს შემდეგნაირად: 1, 2 და 3 ლარი. საკითხის განხილვის დროს წარმოიშვა მოსაზრება, რომ საათობრივი პარკირების მოდელი შეიცავდეს კიდევ 1 კომპონენტს. უფრო კონკრეტულად, დღე-ღამის საათებში იყოს სხვადასხვა ტარიფი, ასევე განსხვავებული ტარიფი იყოს არასამუშაო და სამუშაო დღეებში.

ვ.აბულაძე - ფასიანი პარკირების ადგილიდან 50 მეტრში განთავსებული იქნება სწრაფი გადახდის აპარატი, სადაც ჩატვირთული იქნება გადახდის აპლიკაცია, გარდა ამისა ამოქმედდება მობილური აპლიკაცია. დღის განმავლობაში 4 სხვადასხვა ლოკაციაზე 15 წუთით პარკირება იქნება უფასო.

შ.ოგბაიძე - დარჩება თუ არა პარკირების წლიური საფასური (50 ლარი) ძალაში.

ვ.აბულაძე - აღნიშნული საფასური კვლავ იარსებებს.

ს.ბირკაძე - საათობრივი პარკირების მოდელის ამოქმედებამ უნდა უზრუნველყოს პარკირების ადგილების დაახლოებით 15-ის გათავისუფლება ავტომობილებისაგან.

ვ.აბულაძე - როგორც მოგეხსენებათ, არასწორ დგომა-გაჩერებაზე ჯარიმა არის 10 ლარი, პარლამენტში უნდა გავაკეთოთ ინიცირება, რომ ჯარიმა განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით.

ს.ბირკაძე - დაინიცირებულია პარლამენტში, რომ შშმ პირების და ტაქსების პარკირების ადგილზე დგომა-გაჩერებისათვის ჯარიმა განისაზღვროს 50 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0319052158-03; 21.02.2019) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოადგინა ინიციატივა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე შალვა ოგბაიძის დანიშვნის შესახებ.

კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე